

მე და ევროპა

ფილმის განხილვის სახელმძღვანელო



შესავალი





ფილმი მომზადდა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ, რეჟისორ გიორგი ქველიძესთან მჭიდრო თანამშრომლობით, სპეციალურად 2022 წლის ევროპის დღისთვის. მისი სახელწოდებაა “მე და ევროპა” და ის საქართველო-ევროკავშირის შორის თანამშრომლობის 4 სამიზნე რეგიონში: კახეთში, იმერეთში, გურიასა და რაჭა-ლეჩხუმში გადაღებული ოთხი ამბისგან შედგება.

ევროპის დღეს აღინიშნება ევროკავშირის შექმნა, მისი ისტორია და მიზანი, რომ ევროპაში ომი შეუძლებელი გამხდარიყო. ეს დღე, ასევე, ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობის აღნიშვნის შესაძლებლობას იძლევა. ფილმი მოგვითხრობს მრავალფეროვნებაზე, თანასწორობაზე, თავისუფლებაზე და დემოკრატიაზე, იმ ღირებულებებზე, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ევროკავშირისთვის, მისი წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოსთვის.

კახეთის სოფელ უდაბნოში მეცხვარე და მზარეული ირაკლი გვიყვება, თუ როგორ შეუძლია მრავალფეროვან საზოგადოებას ჩვენი ცხოვრების გამდიდრება. რაჭაში თენგიზი, რადიომიმღებების საკუთარი კოლექციით, საზღვრებს შორის კომუნიკაციის მნიშვნელობაზე საუბრობს. ის ყოველთვის ისწრაფოდა თავისუფლებისკენ, მაშინაც კი, როდესაც ეს ადვილი არ იყო. გურიაში ვეცნობით ლანჩხუთის საფეხბურთო კლუბს, რომელმაც საქართველოს ისტორიაში პირველად შეძლო ევროპის ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება და რომელიც სტერეოტიპებს ამსხვრევს. მათგან ვსწავლობთ ლიდერობას, გადანყვეტილების გუნდურად მიღებას და იმას, რომ გენდერს სპორტისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. იმერეთში ჩვენ ვხვდებით აქტიურ მოქალაქეებს, აკაკის და ლეონორს, რომლებიც ახალგაზრდებთან ერთად მუშაობენ საზოგადოებაში ცხოვრების „მწვანე“ წესის დასამკვიდრებლად და უკეთესი მომავლის შესაქმნელად. ყველა ეს ისტორია ასახავს იმ ღირებულებებს, რომლებსაც იზიარებს და ამკვიდრებს ევროკავშირი და საქართველო.

იხილეთ ქვემოთ კითხვები, რომლებიც ფილმის განხილვის ჩატარებაში დაგეხმარებათ.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ:


-  [@europeanunioningorgia](https://www.facebook.com/europeanunioningorgia)
-  [@EUinGeorgia](https://twitter.com/EUinGeorgia)
-  [@euingorgia](https://www.instagram.com/euingorgia)
-  EUinGeorgia.eu



ზოგადი კითხვები:

- მოგეწონათ ფილმი?
- რომელი ამბავი მოგეწონათ ყველაზე მეტად და რატომ?
- ყველაფერი გასაგები იყო/რაიმეს დაზუსტება ხომ არ გსურთ?
- ფილმის რომელი “გმირია” თქვენთვის ყველაზე ახლობელი და რატომ?
- რას ფიქრობთ ევროკავშირისა და საქართველოს საერთო ღირებულებების იდეაზე?

კახეთი: მრავალფეროვნება უდაბნოში




კახეთის სოფელი უდაბნო მდიდარია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან და ევროპიდან აქ დასახლებული ადამიანების მრავალფეროვნებით. ეს არის ადგილი, სადაც ადამიანები ერთმანეთთან ჰარმონიაში ცხოვრობენ, ერთმანეთისგან სწავლობენ და ერთად მუშაობენ, როგორც ერთი თემი. აქ მთავარ გმირს, მეცხვარე ირაკლის შევხვდით. ჩვენ მის ყოველდღიურ ცხოვრებას აღვწერთ. ვაჩვენებთ, როგორ უვლის ის თავის ცხვარს და როგორ ატარებს დროს მეგობრებთან ერთად. ჩვენ უდაბნოს სხვა მცხოვრებლებსაც შევხვდით. ზოგადად, ამ ფილმში საუბარია ისეთ ღირებულებებზე, როგორიცაა მრავალფეროვნება, ადამიანების, ლანდშაფტების, ენების, აზრების მრავალფეროვნება, ასევე იმაზე, თუ როგორ იყრის ერთად თავს ამ მრავალფეროვნების სხვადასხვა სახე იმისათვის, რომ ძლიერი, ერთიანი და საინტერესო საზოგადოება შეიქმნას.

შემოთავაზებული კითხვები:

- რა არის ამ ამბის მთავარი გზავნილი?
- მრავალფეროვნების რომელ სხვადასხვა სახეებს ვხედავთ?
- ირაკლი და მისი მეგობარი მწყემსი ბუნებაში ერთად სადილობენ. როგორ ფიქრობთ, რაზე საუბრობენ ისინი?
- რას ფიქრობთ ირაკლისა და მოსის მეგობრობაზე? რას სწავლობენ ისინი ერთმანეთისგან რეცეპტების გარდა?



რაჭა: თავისუფლების ტალღა




რაჭაში თენგიზთან, რადიომოყვარულთან ვიმყოფებით. რადიომიმღებების საკუთარი კოლექციით, მას ყოველთვის ჰქონდა კავშირი გარე სამყაროსთან, რაც საბჭოთა დროს ადვილი არ იყო. ის გვიყვება, თუ როგორ უყვარს მას რადიო, როგორ აღადგენს ძველ რადიომიმღებებს და როგორ უვლის საკუთარ კოლექციას. ფილმში საუბარია საზღვრებს მიღმა კომუნიკაციის მნიშვნელობაზე. თენგიზი თავისუფლებისკენ გამუდმებული სწრაფვის არაჩვეულებრივი მაგალითია. კავშირების დამყარება კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებითა და საშუალებებით არის შესაძლებელი.

შემოთავაზებული კითხვები:

- რატომ არის კომუნიკაცია მნიშვნელოვანი?
რა გზებით არის შესაძლებელი კომუნიკაცია და ინფორმაციის მიღება?
- “რადიო ნამდვილად იყო ფანჯარა არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში”.
როგორ დააკავშირა რადიომ თენგიზი ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოსთან?
- ფილმში თენგიზი ამბობს: „ადრე თუ გვიან ტყუილი გამოაშკარავდება“. ეთანხმებით?
- ფილმი ვაჟა-ფშაველას სიტყვებით სრულდება “თავისუფლება მოქმედებაა.
თავისუფლება და ბედნიერება ერთი და იგივეა”. რა დასკვნას გამოიტანთ?

იმერეთი: აქტიური მოქალაქე



იმერეთში ჩვენ ვხვდებით აქტიურ მოქალაქეებს, აკაკის და ლეონორს, რომლებიც ახალგაზრდებთან ერთად მუშაობენ ჩვენს საზოგადოებაში ცხოვრების „მწვანე“ წესის დასამკვიდრებლად და უკეთესი მომავლის შესაქმნელად. მათ სურთ სხვებსაც გადასცენ ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ნარჩენების გადამუშავება და რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების სწორად მართვა. როგორც აკაკი ამბობს, როდესაც ნარჩენს აგდებ, ის „არ ქრება“. აკაკიმ, ასევე, შეიმუშავა მობილური აპლიკაცია, რომელიც ახალგაზრდებს ქუთაისის ისტორიას ასწავლის. ლეონორი პორტუგალიელია, ცხოვრობს ქუთაისში, საუბრობს ქართულად და უყვარს ქართული ცეკვა, რადგან ცეკვით საქართველოსა და ევროპას შორის არსებულ კავშირს შეიგრძნობს.

შემოთავაზებული კითხვები:

- ვინ არიან მთავარი გმირები? რა განსხვავება და მსგავსებაა მათ შორის?
- რას ნიშნავს, იყო აქტიური მოქალაქე? რა გზებით შეგვიძლია გავხდეთ აქტიური მოქალაქე?
- როგორი განცდა გიჩნდებათ, როდესაც ხედავთ, რომ პორტუგალიელი ქალი ქართულად საუბრობს და ქართულ ცეკვას სწავლობს?
- თქვენ ნახეთ, როგორ ასუფთავებენ ქუთაისის მიმდებარე ტყეს აკაკი, ლეონორი და სხვა ახალგაზრდები. შეგიძლიათ დაასახელოთ თქვენ ირგვლივ არსებული გარემოსდაცვითი პრობლემები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებენ?
- ამბავი მთავრდება მონტესკიეს ციტატით: „პრინციის ტირანია ფეოდალურ სახელმწიფოში საერთო კეთილდღეობისთვის ნაკლებ მავნებელია, ვიდრე მოქალაქის აპათია დემოკრატიულ სახელმწიფოში“ და ვაჟა-ფშაველას სიტყვებით: „ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი პატრიოტია“. რა კავშირშია ეს სიტყვები ფილმთან და თქვენი აზრით, რატომ იქნა ფილმში გამოყენებული?

გურია: ჩემპიონები



გურიაში ვეცნობით ლანჩხუთის საფეხბურთო კლუბს, რომელმაც საქართველოს ისტორიაში პირველად შეძლო ევროპის ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება და რომელიც სტერეოტიპებს ამსხვრევს. ისინი ქალთა საფეხბურთო გუნდის წევრები არიან, თუმცა ეს არ არის მთავარი ამ ფილმში. მათგან ჩვენ ვსწავლობთ მეგობრობას, ლიდერობას, გადანყვეტილების გუნდურად მიღებას და იმას, რომ გენდერს სპორტისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. დიდი საქმეები დროს, შრომასა და თავგანწირვას მოითხოვს. ვარჯიშის გასაგრძელებლად გოგონებს მოუწიათ ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური სირთულეების გადალახვა, მაგრამ მათ ეს ყველაფერი დაძლიეს და ვარჯიში ცუდ ამინდშიც არ შეუწყვეტიათ. ამ ძალისხმევის შედეგად, მათ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება შეძლეს და საუკეთესო 32 გუნდს შორის მოხვდნენ. ისინი დიდ სცენაზე გავიდნენ და წარმატების მიღწევას ყველგან შეძლებენ.

შემოთავაზებული კითხვები:

- იყო თუ არა ფილმში ისეთი კადრი, რომელმაც განსაკუთრებული ემოცია ან აღელვება გამოიწვია. თუ კი, რომელი და რატომ?
- განვიცდით თუ არა ფეხბურთელების მსგავსი ემოციები?
- რომელ ერთ თვისებას გამოარჩევდით რომელიმე ერთ-ერთი ფეხბურთელისგან და რატომ?
- როგორ აღიქვამთ გურიის საფეხბურთო გუნდის ერთობას?
- რას გრძნობთ, როდესაც გუნდის მწვრთნელი საუბრობს იმაზე, თუ როგორ არ შეეძლოთ ადრე გოგონებს ფეხბურთის თამაში?

დასკვნითი კითხვები

- ახლა, როდესაც ჩვენ ვნახეთ და განვიხილეთ ფილმი, რა დასკვნებს გამოიტანდით?
- აღმოაჩინეთ თუ არა თქვენთვის რაიმე ახალი.
- იყო თუ არა ფილმში ისეთი რამ, რასაც არ ეთანხმებით.
- ისაუბრებთ თუ არა ფილმში წამოჭრილ საკითხებზე მეგობრებთან ან ოჯახის წევრებთან.

EUROPE AND ME

